პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

14 მარტი, სამშაბათი, 1989 წ.
№ 50 (9969) ▲ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



ბეისბოლი! — სპორტის ამ სახეობამ ჩვენში გამოჩენისთანავე გამოიწვია განსაკუთრებული ინტერესი. უკვე გვყავს ქართული გუნდი, რომელმაც მატჩები ჩაატარა როგორც ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

იმთავითვე ასევე დიდი ინტერესი გამოიწვია დისკუსიამ იმის შესახებ თუ რა გვეწოდებინა ჩვენთვის სპორტის ამ ახალი სახეობისათვის ქართულად. ბოლოს გადაწყდა — კეტბურთი!

ამ სურათზე თქვენ ხედავთ საქართველოს კეტბურთელებს ერთ-ერთ ვარჯიშზე.

## კახა წაქაძე დინამიადის ჩემპიონია

**თბილისის** სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის, ბაკურიანელი კახა წაქაძის წარმატებების ნუსხას კიდევ ერთი თვალსაჩინო გამარჯვება შეემატა — ნიჭიერი ქართველი სპორტსმენი უძლიერესი იყო ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ბრატისლავაში გამართულ სოციალისტური ქვეყნების XI დინამიადაზე 70-მეტრიანი ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომაში. ამ წარმატებით კახამ პირველად შეასრულა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი. მან პირველ ნახტომში 84,5 მ აჩვენა, მეორეში — 87,5. მეორე ადგილი წილად ხვდა პოლონელ ბოგდან პაპეშს, მესამე — არნოლდ მიკეის (გდრ).

90-მეტრიან ტრამპლინზე (ამის შესახებ „ლელო" უკვე იტყობინებოდა) კ. წაქაძე მესამე ადგილზე გავიდა. ამავე ტრამპლინზე გაიმართა გუნდური პირველობაც, სადაც საბჭოთა ნაკრებს წილად ხვდა მესამე საპრიზო ადგილი. აღსანიშნავია, რომ კ. წაქაძეს საბჭოთა სპორტსმენთაგან აქაც ყველაზე უკეთესი შედეგი ჰქონდა.

ნუგზარ ქარელის ფოტო.



## მხოლოდ ანზორ თენაძე

**პრაღა.** აქ დამთავრდა ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირი — „განთავისუფლების თასზე". ფინალში მონაწილეობის უფლება საბჭოთა სპორტსმენთაგან მხოლოდ გორელმა ანზორ თენაძემ (86 კგ) მოიპოვა. აქ იგი ესპანელ ლეონ ვილართან დამარცხდა და საბოლოოდ მეორე ადგილზე გავიდა.

95 კგ წონაში მესამე ადგილისთვის იბრძოდნენ მინსკელი ევგენი დოლინინი და თბილისელი ლერი ყორყოლიანი. გამარჯვება მინსკელ ძიუდოისტს დარჩა.

## სოხუმელი და საგარეჯოელი ფალავნები პირველ ადგილზე

**არაერთხელ** გვითქვამს, რომ ჩვენს სამბისტებს მნიშვნელოვანი შეჯიბრებების წინ ზოგჯერ ძიუდოისტთა „დასესხება" უწევთ ხოლმე. (ცხადია, მუდამ სხვის იმედზე ყოფნა არ არის სასურველი, მით უმეტეს, გაზრდილი კონკურენციის პირობებში სამბისტებმაც თანდათან, ასე ვთქვათ, ხელი გამოიღეს.

საკმაოდ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს ჩვენმა ჭაბუკმა ფალავნებმა (1971-1972 წ წ. დაბ.) თანატოლთა საკავშირო პირველობაში, რომელსაც ჩებოქსარმა უმასპინძლა. ორი ოქროს, თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი — ასეთია მათი მონაგარი.

ჩვენი გუნდის წევრებიდან პირველი ადგილები დაიკავეს საგარეჯოელმა ნუკრი გაგნიაშვილმა (პროფკავშირები, მწვრთნელი როინ ყორღანაშვილი) და სოხუმელმა ერვანდ მარტიროსიანმა („დინამო", მწვრთნელი ვლადიმირ კუვიჩკო). გაგნიაშვილმა წარმატებას მიაღწია 70 კგ წონით კატეგორიაში, მარტიროსიანმა — 81 კგ წონაში.

შეჯიბრების ვერცხლის პრიზიორი გახდა თბილისელი მევლუდ მელაძე (48 კგ, ასკ, მწვრთნელი ზაურ ბახტაძე). მისმა თანაქალაქელმა არჩილ ბიძინაშვილმა (65 კგ, „დინამო", ელიზბარ ბიგანიშვილი) ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

## „მაყურებლის სიმპათიის პრიზი"

**ასეთი** პრიზი ამ სამი წლის წინათ დააწესა გაზეთმა „ვეჩერნი ტბილისმა". რედაქცია ყოველი ახალი საფეხბურთო სეზონის წინ პრიზს გადასცემს იმ საფეხბურთო კოლექტივს, რომლის მატჩებსაც წინა სეზონის განმავლობაში ყველაზე მეტი მაყურებელი დაესწრო.

ფაქტობრივად ამ საინტერესო პრიზს ჯერჯერობით მხოლოდ ერთი მფლობელი ჰყავს — კიევის „დინამო". კიეველებმა „ვეჩერნი ტბილისის" პრიზი უკვე ზედიზედ მესამედ დაისაკუთრეს. ამჯერად მათ ეს ჯილდო თბილისის „დინამოს" სტადიონზე გადაეცათ, წლევანდელი საფეხბურთო სეზონის გახსნის წინ.



## ტელეტაიპი - მკითხველი

**მადრიდი.** ჩოგბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის (დახურულ დარბაზში) ფინალში (II ჯგუფი) საბჭოთა კავშირის ნაკრებმა დაამარცხა იტალიის გუნდი (2:1) და უმაღლეს დივიზიონში თამაშის უფლება მოიპოვა. შეგახსენებთ, რომ გამარჯვებულ გუნდში სხვებთან ერთად გამოდიოდა (ანდრეი ჩერკასოვთან წყვილში) თბილისელი ვლადიმერ გაბრიჩიძე.

**კასაბლანკა.** საბჭოთა ჩოგბურთელმა ანდრის ვისანდმა მოიგო აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირი მაროკოს მეფის თასზე.

**ამსტერდამი.** სპიდვეიში ევროპის გუნდური ჩემპიონატის ფინალის პირველი დღის შემდეგ დაწინაურდა საბჭოთა ნაკრები — 34 ქულა. მეორე ადგილზე არიან ჩეხოსლოვაკიის (26 ქულა), მესამეზე — შვეციის (25 ქულა) მოტოციკლისტები.

**იურმალა.** აქ გაიმართა ევროპის ზამთრის ჩემპიონატის ფინალური მატჩი 16 წლამდე ასაკის ჩოგბურთელ გოგონათა შორის. შეხვედრა ნორჩმა ჰოლანდიელებმა საბჭოთა ნაკრებს ანგარიშით 3:2 მოუგეს.

### ჰოლანდიაში ემზადებიან

## საბჭოთა ნაკრებთან შეხვედრის წინ

**როგორც ცნობილია, 22 მარტს ჰოლანდიის ფეხბურთელთა ეროვნული გუნდი საბჭოთა ნაკრებს უმასპინძლებს. მატჩისადმი ინტერესი იმდენად დიდია, რომ ყველა ბილეთები უკვე გაიყიდა.**

ფეხბურთელთა სამეფო კავშირის შტაბ-ბინაში გამოცხადდა ნაკრების შემადგენლობა. თამაშში მონაწილეობას ვერ მიიღებენ ეროვნული ნაკრების ძირითადი და სათადარიგო მეკარეები ვან ბრეკელენი და მენზო. კარის დარაჯად მწვრთნელმა ამჯერად მიიწვია „აბერდინის" მოთამაშე ტეო სნელდერსი (საჭიროების შემთხვევაში მას შეცვლის ედვარდ მეტგოდი („ჰაარლემი").

სამაგიეროდ, უცვლელი შემადგენლობით გამოვა მოედანზე „მილანის" სახელგანთქმული ტრიო რიიკარდის, გულიტისა და ვან ბასტენის შემადგენლობით. ჰოლანდიის არაერთგზის ჩემპიონი „პსვ-ეინდჰოვენი" ნაკრებში სამ „დელეგატს" აგზავნის — ვან არლეს, ვანენბურგსა და რონალდ კუმანს.

საკმაოდ მძლავრად გამოიყურება ე. წ. „ბელგიური დახმარებაც" (ეს ის მოთამაშეებია, რომლებიც ბელგიის კლუბებში გამოდიან) — ბოსმანი, ერვინ კუმანი, ჰოტკენსი, რიუტიესი და ვან ტიგელენი. გუნდის შემადგენლობაში არიან აგრეთვე გამოცდილი ნახევარმცველი აიაქსელი ვაუტერსი, თავდამსხმელი ვან ლუნი („როდა") და დებიუტანტი ჰესტრა („ტვენტე").





**დიდი** ხანია რუსთაველის გამზირზე ყურადღებას იქცევდა სპორტული მაღაზია „დინამო". ამ ცოტა ხნის წინათ, ეს მაღაზია დროებით დაიკეტა და აი, გუშინ კვლავ გაიხსნა. ახლა იგი გაცილებით ლამაზად გამოიყურება და მომხმარებლისთვისაც უფრო მოხერხებულია. მაღაზიაში ამიერიდან, გარდა სპორტული ნაწარმისა, კულტსაქონელიც გაიყიდება.

განახლებულ მაღაზიას „ლელო" ეწოდა.

ჯემალ კახრაძის ფოტო.

## წოდების მინიჭება

**საბჭოთა კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა სსრ კავშირის სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა:**

**ველოსპორტში** — ბაჩუკი ხორგუანს (ქუთაისი, პროფკავშირები)

**ფარიკაობაში** — დარეჯან მაღლაფერიძეს, ამირან პაპავას (ორივე — ქუთაისი, პროფკავშირები), ანზორ ფრანგულიდის, ალი ბალაძეს, კახა დოლიძეს (სამივე — ბათუმი, პროფკავშირები)

**ტყვიის სროლაში** — დარეჯან დუმბაძეს (ბათუმი, „დინამო"), გიორგი ბალდასაროვს (თბილისი, შეიარაღებული ძალები)

**ფრენბურთში** — იგორ ალიოხინს, მამუკა მაცაბერიძეს, ვლადიმერ ქუკს, სერგეი ანდრიადის (ყველანი თბილისი, პროფკავშირები)

**სპორტულ ტანვარჯიშში** — ხვიჩა გაბიევს, ელდარ ფუნთუშაშვილს, ხათუნა პაპინაშვილს (სამივე — თბილისი, „დინამო")

ქალაქებისა და რაიონების დღე ჩვენს გაზეთში — ბაზაც ვნახეთ, ბაზიკრიც

# შესაძლებლობები არის, მონდომება არა

**ფიზიკური** კულტურა რომ ჯანმრთელობის საწინდარი და სოციალურ-ეკონომიკური წინსვლის ერთ-ერთი ანგარიშგასაწევი ბერკეტია, ამაზე დღეს არავინ დაობს. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ საკითხებზე უფრო მეტს ვლაპარაკობთ, ვიდრე ვმოქმედებთ. როგორც ჩანს, ძველი ჩვევები და მუშაობის მეთოდები არც ისე ადვილი დასაძლევია. ყურმოყრუება და ციფრომანია, წლების განმავლობაში რომ იყო გაბატონებული, ადვილად როდი თმობს პოზიციებს. სწორედ ამიტომ, დღის წესრიგში დგება მასობრივ ფიზკულტურასა და სპორტთან დაკავშირებული ნაკლოვანებების ძირფესვიანად შესწავლა. რა ნაბიჯები გადაიდგა ამ მხრივ, როგორ მდგომარეობაშია ჩვენი ბაზები, მათი მატერიალურ-ტექნიკური დონე და როგორ ვიყენებთ მათ? რესპუბლიკის სპორტსახკომის წარმომადგენლებთან ერთად ამ მიზნით ვეწვიეთ მარნეულის, ბოლნისისა და მცხეთის რაიონებს. აქვე გვინდა დავძინოთ, რომ ამგვარი მისიით სტუმრობას ყველა რაიონი უნდა ელოდოს.

**მარნეულის რაიონი.** შეიძლება ითქვას, არ გაგვიმართლა. რაიონის ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარე შვებულებაში იმყოფებოდა, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების რაისაბჭოს თავმჯდომარე აიდამიდ იბრაგიმოვის ასავალ-დასავალიც არავინ იცოდა, ხოლო ქალაქის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ვახიდ ახმედოვი გვიანდა მოგვიძებნეს. იძულებული გავხდით იმით დავკმაყოფილებულიყავით, რომ ქალაქის სპორტული ბაზები დაგვეთვალიერებინა. მარნეულის ერთადერთ სტადიონს აშკარად აკლია მზრუნველი ხელი. სარბენ ბილიკზე, სახტომ ორმოზე და საჭიდაო სარბიელზე ბალახია მოძალებული, საშხაპეში მხოლოდ ცივი წყალი იყო. შედარებით უკეთესად გამოიყურება კალათბურთის მოედანი. როგორც გვითხრეს, და ზოგიერთ საბუთებშიც ვნახეთ, ქალაქში მასობრივი სპორტული ღონისძიებები ზოგჯერ ტარდება, მაგრამ ბაზების მდგომარეობით თუ ვიმსჯელებთ, ვეჭვობთ, რომ ეს შეჯიბრებები საინტერესოდ მიმდინარეობდეს.

შედარებით იმედის მომცემია ქალაქის მთავარი სარბიელის მომავალი. დაგეგმილია სტადიონის რეკონსტრუქცია, ტერიტორიის გაფართოება, საცურაო კომპლექსისა და საჭიდაო დარბაზის აშენება, აგრეთვე სპორტთამაშების მოედნების მოწესრიგება. კაცმა რომ თქვას, მარნეულში ბევრი საქმეა მოსაგვარებელი, პირველ რიგში სპორტის მესვეურებმა თავიანთ საქმეს უნდა მიხედონ, თორემ ასე „დაუსწრებლად“ მუშაობით წინ ვერ წავალთ. რაიონი ეკონომიკურად შეძლებულია და, ვფიქრობთ, ჩვენს მიერ მიკვლეული ხარვეზების გამოსწორება არ გაუჭირდებათ.

**ბოლნისის რაიონი.** ამ რაიონიდან საქართველოს ნაკრების წევრები არიან ველომრბოლი ხარაძე, მაგიდის ჩოგბურთელი სტეფანია, ხოლო თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაშია ფეხბურთელი ჟაველაშვილი. შარშან, საკავშირო ტურნირში, რაიონის თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა გუნდმა პირველი ადგილი დაიკავა. რაიონში იმართება მასობრივი შეჯიბრებები, მშრომელთა სპარტაკიადები. შარშან, მაგალითად, დასახელებული ასპარეზობის პროგრამით გაიმართა შეჯიბრებები მინიფეხბურთში, ფრენბურთში, მძლეოსნობაში და მაგიდის ჩოგბურთში. თუმცა, მუშაობას ნაკლიც საკმაოდ ახლავს. შარშან საქართველოს ახალგაზრდულ თამაშებზე ბოლნისელებმა გუნდი ვერ გამოიყვანეს იმიტომ კი არა, რომ სპორტსმენები არ ჰყავდათ — უპასუხისმგებლობა გამოიჩინეს. ამის გამო ბოლნისის რაიკომის ბიურომ სამუშაოდან გაათავისუფლა ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარე და სპორტული სკოლის დირექტორი. უნდა ვიფიქროთ, რომ სპორტის ახალი მესვეურები მუშაობას გააუმჯობესებენ. როგორც გვითხრეს, აქ მალე ჩადგება მწყობრში დახურული სპორტული კომპლექსი, რომელსაც ექნება სპორტული თამაშობების დარბაზი, საუნა, საშხაპეები, მაგიდის ჩოგბურთის კუთხე, საჭიდაო და საატო დარბაზები. პროექტით გათვალისწინებულია ოთახი სპორტული მუზეუმის მოსაწყობად. ამავე კომპლექსში დაიდებს ბინას რაიონის სპორტკომიტეტი და სპორტული სკოლის დირექცია.

ბოლნისიდან კაზრეთში გადავინაცვლეთ. აქ დიდი სიამაყით დაგვათვალიერებინეს დამთავრების ფაზაში მყოფი ღია სპორტული კომპლექსი. მას ექნება სტანდარტული ზომის ფეხბურთის მინდორი სარბენი ბილიკებით, სპორტთამაშების მოედნები და ტრიბუნები, აგრეთვე, თანამედროვე სახის ტრენაჟორებით აღჭურვილი სარეაბილიტაციო კაბინეტი, გასახდელები, საშხაპეები, ე. ი. ყველაფერი ის, რაც თანამედროვე სპორტულ ბაზას უნდა ჰქონდეს. კომპლექსს საკუთარი სახსრებით აშენებს მადნეულის კომბინატი (დირექტორი რ. სულამანიძე).

დიდი სპორტული კომპლექსის მშენებლობაა დაწყებული სოფელ რატევანში (ისიც მეურნეობის სახსრებით შენდება). როგორც გვითხრეს, ეს კომპლექსი წელს, მაისში გაიხსნება. ჩვენ გვეეჭვება დარჩენილი სამუშაოების მაისამდე დამთავრება, ღმერთმა ქნას!

**მცხეთის რაიონი.** ცოტა არ იყოს პარადოქსულად მოგვეჩვენა, რომ რაიონი წლების განმავლობაში ურიგოდ არ გამოდის რესპუბლიკურ სპარტაკიადებში (51 რაიონს შორის საპრიზო ადგილს იკავებს) და, მიუხედავად ამისა, მცხეთას არა აქვს არც ერთი ნორმალური სპორტული დარბაზიც კი. ალარაფერს ვამბობთ საცურაო აუზზე, ტირზე, მარტივი ტიპის მოედნებზე. ერთადერთი, რითაც რაიონში „თავს იწონებენ“, ძველისძველი საჭიდაო დარბაზია, რომელიც ჯერ კიდევ უძლებს ჟამთა სვლას. აქ კომპლექსური სპორტული სკოლის, ქართული ჭიდაობის ორი და ძიუდოს ოთხი ჯგუფი ვარჯიშობს. რაც შეეხება ქალაქის მთავარ სარბიელს — ფეხბურთის სტადიონს — იგი მთლიანად არ არის დატვირთული. აქ ყოველდღიურად ორ საათს ვარჯიშობს საქართველოს პირველობაში მონაწილე ფეხბურთელთა გუნდი „არმაზი“. კვირაში ოთხჯერ კი მინდორს იკავებს კომპლექსური სპორტსკოლის ერთი ჯგუფი. ეს არის და ეს, დანარჩენ დროს სტადიონი უქმადაა.

სეზონურად, მხოლოდ ზაფხულის განმავლობაში მეცადინეობენ ქალაქის სპორტსკოლის ნიჩბოსნები. რაც შეეხება პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების ნიჩბოსნობის ბაზას, იგი მხოლოდ პერიოდულად იტვირთება (ამ ბაზის საკითხს საგანგებო კომისია სწავლობს). ამავე საზოგადოების მეორე ნიჩბოსნობის ბაზა „მტკვარს“ კი წლების მანძილზე არ გააჩნია სპორტული ნავები და სხვა დამხმარე ინვენტარი, რის გამოც მეცადინეობა არ მიმდინარეობს.

მცხეთის რაიონში მასობრივ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებები ძირითადად გაზაფხულსა და ზაფხულში ტარდება.

სასწავლო დაწესებულებებსაც ვეწვიეთ. რაიონის 31 სასწავლებლიდან სპორტული დარბაზი მხოლოდ ცხრამეტს აქვს. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი მათგანი ურიგოდ არ გამოიყურება.

89-ე პროფტექნიკურ სასწავლებელს აქვს სამი ღია მოედანი და ერთი დახურული დარბაზი, სადაც მუშაობს სამი სპორტული სექცია (ფეხბურთი, ფრენბურთი, კალათბურთი). კვირაობით სპორტული ბაზა ეთმობა სკოლებს შორის შეჯიბრებებს. აქვე ტარდება მოსწავლეთა სარაიონო სპარტაკიადის ფინალური შეხვედრები.

წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სპორტული ბაზა ერთ-ერთი საუკეთესოა მთელს რაიონში. სექციური მუშაობა ტარდება მძლეოსნობაში, ფეხბურთში და ქართულ ჭიდაობაში. ჩვენი მისვლის დროს ტექნიკუმის სპორტდარბაზში მიმდინარეობდა მინიფეხბურთში მოსწავლეთა 34-ე სარაიონო სპარტაკიადა.

სავალალო მდგომარეობაშია ინვენტარის მხრივ მუხრანის საშუალო სკოლა. აქ ბურთებიც კი არა აქვთ საკმარისი, თუმცა ფეხბურთის მინდორი არ დაიწუნება. განსაზღვრულ დროს აქ ვარჯიშობს მუხრანის სასწავლო-საცდელი მეურნეობის ფეხბურთელთა გუნდი, რომელიც საქართველოს პირველობაზე ასპარეზობს.

ახლა კი იმის შესახებ, როგორი ყურადღება ექცევა რაიონში მუშათა სპარტაკიადას. სპორტის ათ სახეობაში ჩატარებულ შეჯიბრებებში 50 კოლექტივიდან 28-მა მიიღო მონაწილეობა. თუმცა, ის კი უნდა აღვნიშნოთ, რომ წარმოებებს არა აქვთ სპორტული ბაზები, არა ჰყავთ მეთოდისტები. ბაზების უქონლობას უმეტესობა თანხების უქონლობით ხსნის. ჩვენი აზრით, ამას მარტო მატერიალურ ფაქტორს ვერ დავაბრალებთ. როგორც ჩანს, აქ კარგად არ ესმით ის დიდი როლი, რაც ფიზიკური კულტურის დანერგვას შეიძლება მოჰყვეს შრომის ნაყოფიერების ამაღლების საქმეში.

როგორ შეიძლება შეფასდეს აღნიშნულ რაიონებში შემოწმებების შედეგები? ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა გაგვიჭირდება. სამივე რაიონში ბაზების მხრივ პრობლემები საკმაოდაა. მიუხედავად ამისა, ბოლნისის რაიონმა კრიზისიდან თავის დასაღწევად უკვე გადადგა გარკვეული ნაბიჯები, მეტი ყურადღება სჭირდება მცხეთის რაიონს — საქართველოს ძველ სატახტოს, ქალაქ-მუზეუმს, მეტი თუ არა, ერთი თანამედროვე ტიპის სპორტული კომპლექსი მაინც უნდა ჰქონდეს. რაც შეეხება მარნეულის რაიონს, აქაურებს დასახული გეგმების გარდა, მეტი გარჯა მართებთ, რომ ის ჩამორჩენა დასძლიონ, რაც დღესდღეობით აქვთ.

**მერი დილმელაშვილი,**
**პირიბე ბვარლიანი,**
**„ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტები.**

# გულგრილი ხელმძღვანელები



**რესპუბლიკის** ახალგაზრდა ძალოსანთა პირად-გუნდური პირველობა, რომელიც იანვარში უნდა ჩატარებულიყო ცხინვალში, დასავლეთ საქართველოში დიდთოვლობის გამო ორგანიზატორებმა მომდევნო თვეში გადაიტანეს. მიუხედავად ამისა, ასპარეზობაში მონაწილეობა ვერ მიიღეს საჩხერის, აჭარისა და აფხაზეთის წარმომადგენლებმა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შეჯიბრების გადატანამ ერთი უხერხულობა წარმოშვა: თითქმის ამ ტურნირის დამთავრებისთანავე იწყებოდა პროფკავშირებისა და შეიარაღებული ძალების საკავშირო პირველობები, სადაც ჩვენი 6-6 ძალოსანი უნდა გამოსულიყო. ცხადია, რომ, როდესაც სულ მალე უფრო მნიშვნელოვანი ასპარეზობა გველის, რესპუბლიკურ შეჯიბრებას მთელ ძალ-ღონეს ვერ შეალევ, თუმცა ცხინვალში ფავორიტებს მაინც არ გასჭირვებიათ გამარჯვება. საქართველოს ნაკრების წევრები ფიზიკური მომზადებით აშკარად აღემატებოდნენ დანარჩენებს (ასპარეზობაში არ მონაწილეობდნენ მსოფლიო რეკორდსმენი აკვრაში ახალგაზრდებს შორის, ცხინვალელი კახი კახიაშვილი და ჭაბუკთა შარშანდელი საკავშირო თამაშების მესამე პრიზიორი, საჩხერელი გრიგოლ ჩუბინიძე. ორივე ძალოსანი კიევში იყო საკავშირო ახალგაზრდული ნაკრების შეკრებაზე. სულ მალე საბჭოთა გუნდი მონაწილეობას მიიღებს ევროპისა და მსოფლიოს პირველობებში).

ასპარეზობის დონის შესახებ წარმოდგენას ქვემოთ მოყვანილი ტექნიკური შედეგებიც შეგიქმნით. ამჯერად კი სიტყვას ვუთმობთ რესპუბლიკის სპორტსახკომის მთავარ მწვრთნელს ძალოსნობაში **რამაზ გურგენიძეს.**

— ამ ეტაპისთვის ცხინვალში ნაჩვენები შედეგები დამაკმაყოფილებელია. ჩვენი მიზანია, გუნდის თითოეულმა წევრმა თავისი სპორტული ფორმის პიკს საკავშირო ახალგაზრდული თამაშებისთვის მიაღწიოს. ის, რომ შეჯიბრებაზე აჭარისა და აფხაზეთის წარმომადგენლები არ ჩამოვიდნენ (საჩხერელ ძალოსნებს საპატიო მიზეზი ჰქონდათ), ცხადია, კრიტიკულად უნდა შეფასდეს. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო აჭარის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის თენგიზ ბოლქვაძის გულგრილი დამოკიდებულება სპორტის ამ სახეობისადმი. ამ რეგიონის წარმომადგენლები ოთხი-ხუთი წლის წინ საქართველოს ნაკრების კანდიდატებიც კი იყვნენ. ბოლო სამი წელი აქ ძალოსნობა მხოლოდ ენთუზიასტი მწვრთნელების ანაბარა იყო დატოვებული, რომლებიც უხელფასოდ მუშაობდნენ. სამი თვის წინ კი საერთოდ შეწყდა ყოველგვარი მუშაობა, ადგილობრივმა პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებამ მხოლოდ ახლახან გახსნა ერთი ჯგუფი, რაც, ცხადია, ჩამორჩენის დასაძლევად საკმარისი არ არის. ეს მით უფრო გულდასაწყვეტია, რომ ბათუმსა და ჩაქვში ცხოვრობენ საკმაოდ კვალიფიციური მწვრთნელები ქათამაძე, კურცხალიძე და ბასილაია. აფხაზეთის სპორტსმენები სისტემატურად არიდებენ თავს რესპუბლიკურ შეჯიბრებებში მონაწილეობას. საკმარისია ითქვას, რომ ისინი შარშან შვიდის ნაცვლად მხოლოდ ორ შეჯიბრებაში გამოვიდნენ, წელს კი უკვე ორი ასპარეზობა გამოტოვეს. არადა, იქ საკმაო რაოდენობით არის ძალოსანთა ჯგუფები. ორი წელია ამოქმედდა ბავშვთა და მოზარდთა ძალოსნობის სპორტსკოლა. გუდაუთაში სექციებს სათავეში უდგანან გამოცდილი მწვრთნელები, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ივანე კაზაკოვი და სპორტის ოსტატი იასონ კეხბა. საბედნიეროდ, აჭარასა და აფხაზეთში ძალოსნობაში წარმოქმნილ ამ ვაკუუმს თავდადებული შრომით ნაწილობრივ ავსებენ სამხრეთ ოსეთის (მწვრთნელები გრიგორი კოჩიევი და ვანო გრიქუროვი) და საჩხერის (გოგი თოდაძე, ვაჟა კაპანაძე) მწვრთნელები. საქმისადმი მათი დიდი სიყვარული და ფანატიკური დამოკიდებულება რომ არა, ქართულ ძალოსნობას ძალიან გაუჭირდებოდა. უნდა მოვიხსენიო წყალტუბო. აქ სამი-ოთხი წლის წინ საერთოდ არ არსებობდა ძალოსნობა, დღეს კი რესპუბლიკის ახალგაზრდულ ნაკრებში იქაური მწვრთნელის გურამ მამიაშვილის ორი აღზრდილია. უნდა აღვნიშნო ის ფაქტიც, რომ სულ ახლახან ცხინვალში გაიხსნა ძალოსნობის სპეციალიზებული სკოლა (დირექტორი გრიგორი კოჩიევი), ხოლო საჩხერეში შარშან, დეკემბრიდან ამოქმედდა რესპუბლიკის სპორტული სკოლა-ინტერნატის ფილიალი, სადაც 35 ძალოსანი ვარჯიშობს (შესარჩევ კონკურსში 120 მოზარდი მონაწილეობდა). ვფიქრობ, ძალოსანთა რაოდენობის გაზრდა მომავალში სასურველ შედეგს გამოიღებს.

**ჯემალ კასრაძე.**

213 ქვარცხლბექი

**52 კგ.** თათევოს სარქისიანი (ახალციხე) — 65+85=150, შალვა ჩხეტიანი (ქუთაისი) — 60+70=130, ხვიჩა მაისურაძე (ცხინვალი) — 45—62,5—107,5; **56 კგ.** ინალ ასაბიევი (ცხინვალი) — 90+110=200, ხვიჩა ჯოხაძე (წყალტუბო) — 82,5+100=182,5, პაატა ტყემალაძე (ქუთაისი) — 80+100=180; **60 კგ.** ლევან ალაგულიანი (თბილისი) — 82,5+105=187,5, რუდოლფ იკოევი (ცხინვალი) — 72,5+92,5=165; **67,5 კგ.** მამუკა ბესტავაშვილი (თბილისი) — 110+125=235, თემურ ქომეთიანი (ქუთაისი)—100+120=220, არმენ სარქისიანი (თბილისი) — 95+115=210, **75 კგ.** კობა იობიძე (წყალტუბო) — 120+150=270, ილია თვალოძე (ქუთაისი) —110+130=240, ალან კოჩიევი (ცხინვალი) — 107,5+130=237,5; **82,5 კგ.** მერაბ ხუბუკელაშვილი (ქუთაისი) — 130+162,5=292,5, მუხრან გოგია (ზუგდიდი) — 135+157,5=292,5, სლავა ვექუა (ზუგდიდი) — 125+145=270; **90 კგ.** სოსლან კოჩიევი (ცხინვალი) — 140+170=310, რემან აივაზიანი (თბილისი) — 110+150=260, რუბენ ოვანესიანი (ახალციხე) — 110+140=250; **100 კგ.** დავით სოფრომაძე (ქუთაისი) — 115+155=270; პავლე ვარტეროსიანი (თბილისი) — 122,5+145=267,5; **110 კგ.** იგორ კობზევი (თბილისი) — 130+155=285; ბაკურ კარკაძე (ქუთაისი) — 115+125=240; **+110 კგ.** ბესიკ ჩილაჩავა (ზუგდიდი) — 110+130=240.

**გუნდური:** 1. თბილისი — 1942 ქულა, 2. ქუთაისი — 1291, 3. სამხრეთ ოსეთი — 840, 4. ზუგდიდის რ-ნი —573, 5. წყალტუბო — 552, 6. ახალციხე — 239.

# გორი მასპინძლობდა

**გორში** რამდენიმე დღეს მიმდინარეობდა ზონალური პირველობა ფრენბურთში 1975 წელს დაბადებულ გოგონათა შორის, მონაწილეობდნენ თბილისის, ცხინვალის, ქუთაისის, სამტრედიის, ლაგოდეხის და გორის ნაკრები გუნდები.

მასპინძელთა კოლექტივმა (მწვრთნელი ელდარ კაპანაძე), რომელიც მთლიანად დაკომპლექტებული იყო მეშვიდე საშუალო სკოლის სპორტსმენებით, შეხვედრები მაღალ დონეზე ჩაატარა (ყველა მეტოქეს ერთნაირი „მშრალი“ ანგარიშით —3:0 მოუგო) და ზონალურ პირველობაში გაიმარჯვა. ქუთაისელთა ნაკრები მეორე ადგილით დაკმაყოფილდა, დედაქალაქის ფრენბურთელებს კი მესამე ადგილი დარჩათ.

**რაიონის** თითქმის ყველა სკოლის გუნდმა მიიღო მონაწილეობა ხელბურთელთა შეჯიბრებაში. ფინალურ ჯგუფში ბრძოლის გაგრძელების უფლება მოიპოვეს ზერტის, ატენის სკოლა-ინტერნატის, ზეღდულეთის, მეჯვრისხევის და კირბალის სკოლების წარმომადგენლებმა.

ამ გუნდებს შორის თამაში უკომპრომისო იყო, განსაკუთრებით აქტიურობდნენ ზერტელი გოგონები, რომლებმაც პირველი ადგილიც მოიპოვეს. მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს ზეღდულეთელმა და მეჯვრისხეველმა სპორტსმენებმა. ვაჟებში ყველას აჯობეს ატენელებმა, შემდგომი ადგილები წილად ხვდათ ზერტელებსა და მეჯვრისხეველებს.

ასპარეზობაზე საშუალო სკოლის გუნდების პარალელურად არასრული საშუალო სკოლების მოწავლეებიც გამოდიოდნენ, აქ კი კირბალელმა ბიჭებმა და გოგონებმა იმარჯვეს და რაიონის ჩემპიონები გახდნენ.

**ილია თევდორაშვილი,**
**„ლელოს“ საკ. კორ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთაშორისო ტურნირი ჟურნალ „სმენას“ პრიზზე

# საიმედო მესამე ადგილი

ისტორიის კუთვნილება გახდა ...ვ ერთი საინტერესო საფეხბურთო ტურნირი, რომელსაც საქართველოს ოთხმა ქალაქმა — სამტრედიამ, ვანმა, ხობმა და ცხაკაიამ უმასპინძლა. ჟურნალ „სმენას“ ამ ...ტიჟულ შეჯიბრებას გულგრილი არ დაუტოვებია ფეხბურთის მოყვარულნი, სასიხარულოა ისიც, რომ ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებმა ძნელ ასპარეზობაში კარგი შთაბეჭდილება დატოვა — მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა და უკან ჩამოიტოვა ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, უნგრეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, თურქეთისა და უკრაინის გუნდები. „საპრიზო ადგილის მოპოვება ...ეთ გრანდებთან ჭიდილში იოლი ...არის, — თქვა საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ნიკოლოზ ამირეჯიბმა. — გასახარია ისიც, რომ ჩვენს გუნდში საკმაოდ არიან ნიჭიერი, ...ისმომცემი სპორტსმენები, რომლებიც დღეს თუ ხვალ ჩვენი რესპუბლიკის წამყვანი გუნდების რიგებში უნდა ვიხილოთ“.

...ეხლა კი მოკლედ თუ როგორ ...მართა ბოლო ტურის შეხვედრები, რომლებიც სიურპრიზებით ...ო აღსავსე. როგორც გაუწყეთ, ...ჯგუფში, სადაც ჩვენი ნაკრები ...ნაწილეობდა, ბოლო ტურამდე 5 ქულით მასპინძლები და საბჭოთა კავშირის მეორე ნაკრები ლიდერობდნენ. ფინალისტების ვინაობა 7 ...რტს გამართულ შეხვედრებს უნდა ...ესახელებინა. ამ ტურამდე მეტი ...ტანილი ბურთით საქართველოს ...კრები ლიდერობდა. ბულგარეთის ნაკრებთან შეხვედრა ჩვენი ...უნდის სრული უპირატესობით წარიმართა, პირველივე წუთებიდან ...ხიფათო მომენტები იქმნება სტუმართა კართან. 32-ე წუთზე გელა... დარღვევა მეტოქის საჯარიმოში აკრძალული წესით შეაჩერეს, ...-მეტრიანი ზუსტად დაარტყა კ. კანტალიანმა — 1:0. 5 წუთის შემდეგ ქოიავამ ორამდე გაზარდა ანგარიში, პირველი ნახევრის ბოლო წუთებზე კი ბულგარელებმა კარგად ...ბლეს საქართველოს ნაკრების ...ის მოთამაშეთა უყურადღებობით და შეამცირეს სხვაობა — 1:2.

ჩვენს ნაკრებს ამ მატჩში მხოლოდ დიდი ანგარიშით მოგება აძლევდა ხელს, რადგან საბჭოთა კავშირის მეორე ნაკრები ერთ-ერთ აუტსაიდერს უნგრეთის გუნდს ხვდებოდა. მეორე ნახევარი საქართველოს ნაკრებმა მეტოქის საჯარიმოში დაჰყო, უამრავი ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენა. 68-ე წუთზე კვანტალიანს მეორედ მიეცა თავის გამოჩენის საშუალება, როცა ტალინელმა არბიტრმა ვ. ტერენტიევმა მეორე 11-მეტრიანი დანიშნა ბულგარელთა კარში, მაგრამ მის მიერ დარტყმული ბურთი მიზანს ასცდა. არც ამის შემდეგ შეუწყვეტიათ იერიშები ჩვენს ფეხბურთელებს. მაგრამ მოხდა ის, რაც ფეხბურთის დაუწერელ კანონად არის მიჩნეული — უტევს ერთი, ბურთი კი მეორე კარში გადის. სტუმართა ერთ-ერთი იშვიათი კონტრშეტევა გოლით დამთავრდა — 2:2.

ამ ქვეჯგუფში ფინალისტის ვინაობა გაირკვა საბჭოთა კავშირის მეორე ნაკრებისა და უნგრეთის გუნდის შეხვედრაში. ჩვენი ქვეყნის მეორე გუნდმა იოლად გადაჭრა ეს ამოცანა, გაიმარჯვა ანგარიშით 2:0 და ფინალშიც გავიდა. მეორე ქვეჯგუფში, სადაც უდავო ფავორიტად უკრაინის გუნდი ითვლებოდა, თურქეთთან მის გამარჯვებაში ეჭვი არავის ეპარებოდა, მაგრამ თურქებმა, რომლებმაც მოკრძალებული თამაშით დაამახსოვრეს თავი მაყურებელს, ადვილად შეძლეს უკრაინის ნაკრების დამარცხება — 2:0. ამ ქვეჯგუფში პირველი ადგილის სხვა კონკურენტმა საბჭოთა კავშირის პირველმა ნაკრებმა პოლონელებს სძლია (2:0) და ფინალური მატჩისთვის დაიწყო მზადება.

9 მარტს სამტრედიის „ლოკომოტივის“ სტადიონზე ფინალური მატჩის წინ გაიმართა შეხვედრა მესამე ადგილისათვის უკრაინისა და საქართველოს გუნდებს შორის. თამაში თანაბარ ბრძოლაში წარიმართა და ფრედ დამთავრდა — 0:0, დებულების თანახმად დაინიშნა 5-5 თერთმეტმეტრიანი დარტყმა. საქართველოს ფეხბურთელებმა 5 დარტყმიდან 4 გოლი გაიტანეს, უკრაინელებმა კი ორჯერ მიაღწიეს მიზანს. ჩვენმა მეკარემ დ. ჯანელიძემ შეძლო ორი ბურთის მოგერიება. საქართველოს გუნდი ამ გამარჯვებით საპატიო მესამე ადგილს დაეუფლა.

დაძაბულად წარიმართა ფინალური შეხვედრაც, სადაც ჩვენი ქვეყნის პირველი და მეორე ნაკრებები ხვდებოდნენ ერთმანეთს. პირველმა ნაკრებმა შეძლო ტერიტორიული უპირატესობის მოპოვება, რაც ზარიცკის ორი გატანილი ბურთით აისახა. მეტოქის ნახევარმცველმა აბდულაევმა ერთი ბურთით შეამცირა სხვაობა, შეხვედრაც ასე დამთავრდა — 2:1 პირველი ნაკრების გამარჯვებით. აღსანიშნავია, რომ ქვეყნის მეორე ნაკრებში, რომლებიც ერთი წლით უმცროსები არიან ტურნირის მონაწილეებზე, სამი საქართველოს წარმომადგენელი მონაწილეობდა: ი. ნაზლიდისი, დ. დათუაშვილი და ი. კიკნაველიძე.

ტურნირზე დაწესებული იყო პრიზები საუკეთესო მოთამაშეებისთვის. მეკარის პრიზი ჩეხოსლოვაკიელ ი. ბლაჟეკს გადაეცა. საუკეთესო მცველად პირველი ნაკრების წევრი ნ. სეკუ მიიჩნიეს, პრიზი საუკეთესო ნახევარმცველისთვის საქართველოს გუნდის წევრს კ. კვანტალიანს გადაეცა, ხოლო თავდამსხმელის კი — მეორე ნაკრების მოთამაშეს ი. კარატაევს.

გაგაცნობთ ტურნირში გამარჯვებული პირველი ნაკრების შემადგენლობას: სკრუბსკისი, კურილენკო, სეკუ, შურკო, სიდორენკო, კუზნეცოვი, ზარიცკი, კაშინსკი, ანდრიანოვი, შტალიუნასი, კიცული.

საბჭოთა კავშირის პირველი ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ა. კუზნეცოვმა ჩვენი ქვეყნის კანდიდატთა სიაში საქართველოს ოთხი ფეხბურთელი შეიყვანა: დ. ჯანელიძე, ა. გელაძე, კ. კვანტალიანი და ლ. მჭედლიშვილი.

**ზაზა კახაძე.**
(„ლელოს“ სპეც. კორ.).

# „მილიონთა თასი“ აღორძინდა

ფეხბურთის მოყვარულებს ეხსომებათ, რომ ჩვენს ქვეყანაში ერთ დროს სისტემატურად იმართებოდა მეტად საინტერესო საფეხბურთო ტურნირი, რომელსაც „მილიონთა თასი“ ერქვა. ამ შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ფიზკულტურული კოლექტივების გუნდები. საქართველოს ფეხბურთელებს აქ მნიშვნელოვანი წარმატებები მოუპოვებიათ, კერძოდ, თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს გუნდმა გაიმარჯვა თასის გათამაშებაში და ფეხბურთელებმა მაშინდელი დებულების შესაბამისად სსრ კავშირის სპორტის ოსტატის წოდება დაიმსახურეს.

10 წლის წინ ფიზკულტურული კოლექტივების ეს საინტერესო საფეხბურთო შეჯიბრება შეწყვიტეს. მაგრამ წლეულს თასის გათამაშება კვლავ განახლდება, მასში მონაწილეობას მიიღებენ მასობრივი ფეხბურთის წარმომადგენლები, იასპარეზებენ მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდები.

სსრ კავშირის სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველოში შედგა „მილიონთა თასის“ გათამაშების პირველი ეტაპის ... მეტოქეები ორჯერ შეხვდებიან ერთმანეთს — შინ და სტუმრად. „მილიონთა თასის“ შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ ვანის „სულორი“ და ზუგდიდის „დინამო“. „სულორის“ მეტოქე პირველ ეტაპზე ოდესის „დინამო“ იქნება, ხოლო ზუგდიდის დინამოელები შეხვდებიან „ყუბანს“ (კრასნოდარის მხარე).

პირველი ეტაპის მატჩები გაიმართება 28 მაისს და 11 ივნისს. მომდევნო ეტაპების შეხვედრათა თარიღებია 25 ივნისი და 9 ივლისი, 23 ივლისი და 6 აგვისტო, 20 აგვისტო და 10 სექტემბერი, 24 სექტემბერი და 1 ოქტომბერი. დებულებაში აღნიშნულია, რომ მეტოქის მინდორზე გატანილ ყოველ ბურთს ორი ქულის ძალა აქვს, როგორც ეს უეფა-ს საკლუბო ტურნირებშია.

გუნდების შემადგენლობაში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ ფეხბურთელებს, რომლებიც აღნიშნულ ფიზკულტურულ კოლექტივში მუშაობენ.



იტალია-90

## შესარჩევი მატჩები

განვლილ ოთხშაბათს გაიმართა ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები ევროპის ზონაში.

### II ჯგუფი

ალბანეთისა და ინგლისის ნაკრები გუნდების მატჩში, რომელიც ტირანაში შედგა, ინგლისელები ბევრს უტევდნენ, მე-16 წუთზე ანგარიში გახსნა ბარნსმა, შესვენების შემდეგ კი რობსონმა მეორე გოლი გაიტანა — 2:0. ალბანელ ფეხბურთელთა საპასუხო იერიშებს შედეგი არ მოჰყოლია.

გათამაშების ცხრილი:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-0 | 3 |
| შვეცია | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 3 |
| პოლონეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 2 |
| ალბანეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-5 | 0 |

### V ჯგუფი

უნგრელმა ფეხბურთელებმა თავიანთ მინდორზე, ბუდაპეშტში, მეტად საჭირო ქულა დაკარგეს ირლანდიის გუნდთან შეხვედრაში. უნგრელებს ახალი მწვრთნელი ჰყავთ, მაგრამ როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, გუნდი კვლავ სუსტად თამაშობს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 4 | 4 | 0 | 0 | 10-0 | 8 |
| უნგრეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 3-2 | 4 |
| ჩრ. ირლანდია | 5 | 1 | 1 | 3 | 3-7 | 3 |
| ირლანდია | 3 | 0 | 2 | 1 | 0-2 | 2 |
| მალტა | 3 | 0 | 1 | 2 | 2-7 | 1 |

### VI ჯგუფი

შოტლანდიისა და საფრანგეთის გუნდების შეხვედრაში შოტლანდიელთა უპირატესობა აშკარა იყო, მათ გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0. ორივე ბურთი გაიტანა ჯონსტონმა. ფრანგების მწვრთნელმა მ. პლატინიმ განაცხადა, რომ მიუხედავად გუნდის შემადგენლობის საგრძნობლად განახლებისა, იგი ჯერ კიდევ შორსაა სასურველი ფორმისგან. აღსანიშნავია, რომ შოტლანდიელი ჯონსტონი, რომელმაც ამ მატჩში ორივე ბურთი გაიტანა, საფრანგეთის კლუბ „ნანტში“ გამოდის.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შოტლანდია | 4 | 3 | 1 | 0 | 8-4 | 7 |
| იუგოსლავია | 3 | 2 | 1 | 0 | 8-3 | 5 |
| საფრანგეთი | 4 | 1 | 1 | 2 | 4-6 | 3 |
| ნორვეგია | 3 | 1 | 0 | 2 | 4-3 | 2 |
| კვიპროსი | 4 | 0 | 1 | 3 | 3-11 | 1 |

საქდესის კორესპონდენტები იტყობინებიან მსოფლიო ჩემპიონატის სხვა შესარჩევი მატჩების შედეგებს. აზიის V ჯგუფში ჩინელმა ფეხბურთელებმა სტუმრად ანგარიშით 2:0 დაამარცხეს ბანგლადეშის გუნდი, 3 ჩატარებული მატჩის შემდეგ მათ 6 ქულა აქვთ. ისრაელის ნაკრებმა თავის მინდორზე ანგარიშით 1:0 მოუგო ახალი ზელანდიის გუნდს (ოკეანიის ზონის II ჯგუფი).

● ფეხბურთი

## სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

გუშინ მოსკოვის „ოლიმპიისკის“ დახურულ სპორტკომპლექსში შედგა სსრ კავშირის 52-ე საფეხბურთო ჩემპიონატის პირველი ტურის მატჩი ადგილობრივ „სპარტაკსა“ და ვილნიუსის „ჟალგირისს“ შორის. თამაში დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით — 4:0.

## წვივსაფრები სავალდებულოა

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ შარშან მიიღო გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ ფეხბურთელი ყოველგვარი რანგის შეჯიბრებაში ვალდებულია წვივსაფრებით გამოდიოდეს. ეს წესი, რა თქმა უნდა, ჩვენი ფეხბურთელებისთვისაც სავალდებულოა.

ამიერიდან მსაჯები თამაშზე არ დაუშვებენ მას, ვისაც არ ექნება წვივსაფრები.

● **ინგლისში** არ მთავრდება დისკუსია მწვრთნელის ბობი რობსონის ირგვლივ. ახლახან მას კიდევ ერთი კრიტიკოსი გამოუჩნდა. ესაა 37 წლის კევინ კიგანი, „ლივერპულისა“ და „ჰამბურგის“ სახელგანთქმული თავდამსხმელი. „მას ან მწვრთნელის ნიჭი არა აქვს, ან ფატალური უიღბლობა სჭირს. ორივე შემთხვევაში ინგლისის ნაკრებისათვის რობსონის გვარიც კი დამღუპველია. სიამოვნებით შევცვლიდი მას ამ პოსტზე“ — განაცხადა კიგანმა.

● ფეხბურთი









სურათებზე: მარცხნიდან — თბილისის, სოხუმის და ბულგარეთის გუნდები; ქვევით — „ლელოს“ ჯილდოს მფლობელი ავთანდილ კუნჭულია.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.

# ფესტივალის ფინიში

## თბილისის საერთაშორისო ტურნირი მინიფეხბურთში

თბილისის საერთაშორისო ფესტივალი მინიფეხბურთში ლამაზმა ფინალმა დაამშვენა, მაყურებელმა ღირსეულ მეტოქეთა ბრძოლა იხილა. უნდა ითქვას, რომ ეს იყო დაძაბული მომენტებით სავსე შეხვედრები, რასაც ჯერ კიდევ მესამე ადგილისათვის მებრძოლმა კოლექტივებმა — სომხეთისა და სოფიის წარმომადგენლებმა მისცეს ტონი. მიუხედავად იმისა, რომ ამ მატჩისათვის განკუთვნილ დროს არ გამოუვლენია გამარჯვებული, მაყურებელი მაინც მთელი 40 წუთის განმავლობაში სრულიად დაძაბული ადევნებდა თვალს მოედანზე მოვლენებს. ძალთა თანაფარდობაზე მეტყველებდა ისიც, რომ პენალტების სერიაზე როცა მიდგა საქმე, საფეხბურთო თემიდამ ადვილად ვერც ერთი მხარე ვერ გაიმეტა — დარტყმათა პირველი წყებაც ფრედ — 2:2 აღინიშნა და მხოლოდ მომდევნო სერიაში შეძლეს ბულგარელმა ფეხბურთელებმა მეტოქის კარში გადამწყვეტი გოლის გატანა, რამაც მათ ფესტივალის მესამე საპრიზო ადგილი მოუტანა.

დაძაბულობა არ დაჰკლებია პირველი ადგილისათვის გამართულ ორთაბრძოლასაც, რომელიც ადგილობრივ „ოქროსუბნისა“ და სოხუმელ ფეხბურთელთა შორის გაიმართა. ჩვეულებრივი, დიდი ტურნირების დასკვნითი მატჩის მსგავსად, ეს ფინალური შეხვედრაც „მრავალნიშნა“ გამოდგა, რადგან, მას რამდენიმე კითხვაზე უნდა გაეცეს პასუხი. კერძოდ, გამარჯვებულთან ერთად, ტურნირის საუკეთესო ბომბარდირიც უნდა გამოევლინა.

ანგარიში მხოლოდ შეხვედრის მეექვსე წუთზე გაიხსნა. ეს შეძლო თბილისელთა გარემარბმა იონა გრძელიშვილმა, რომელმაც ძმის — დავითის გადაცემა ზუსტად გაგზავნა სოხუმელთა კარში. ამით მან გაუსწრო თანაგუნდელ გია მელაშვილს და გაუტოლდა ბაქოელ სმოლნიკოვს, რომლის ანგარიშზე 5 გოლი იყო. შესვენების შემდეგ ოქროსუბნელებმა ანგარიში ორამდე (ჯებაშვილი) გაზარდეს, რასაც სოხუმელმა ბოჯგუამ ერთი ბურთით უპასუხა — 2:1. დარჩენილ დროში იმავე იონა გრძელიშვილმა მესამე გოლი მოათავსა მეტოქეთა ბადეში და მასპინძლების წარმატება განამტკიცა, პირადად კი (6 ბურთით) ტურნირის საუკეთესო ბომბარდირის პრიზს დაეუფლა.

ასეთი გამოდგა ამ საფეხბურთო ფესტივალის ფინიში. ფესტივალზე დაწესებული იყო სხვადასხვა სპეციალური პრიზები. „ლელოს“ ჯილდო — საუკეთესო მეკარისა, დაიმსახურა ბათუმის „ხიხანის“ მეკარემ ავთანდილ კუნჭულიამ.

**ტ. უნგიაძე.**



სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

# ლიდერი პოზიციას არ თმობს

საქართველოს ჩემპიონატი ჭადრაკში ქალთა შორის

თბილისის ჭადრაკის სასახლეში მიმდინარე მოჭადრაკე ქალთა 45-ე რესპუბლიკურ ჩემპიონატზე შესანიშნავად თამაშობს ქუთაისელი ოსტატობის კანდიდატი ეკატერინე ფახიროვა. მან I ტურში თანაქალაქელ ივეტა კურცხალიასთან ერთადერთი მარცხის შემდეგ ზედიზედ 8 პარტია მოიგო (VIII და IX ტურების ჩათვლით), რაც ასეთი რანგის შეჯიბრებებზე არცთუ ხშირად ხდება. ამ მოგებებით ფახიროვა ლიდერის პოზიციას არ თმობს და, ბუნებრივია, ოსტატის ნორმის შესრულების ყველაზე კარგი შესაძლებლობა აქვს.

VIII და IX ტურების ტექნიკური შედეგები:

**VIII ტური:** მელაშვილი-კურცხალია — 1:0, ეძგვერაძე-თვაური — 0:1, ტერელაძე-სადუნიშვილი — 0:1, ხუგაშვილი-ფახიროვა — 0:1, ჩაიკოვსკაია-ლაგვილავა —0:1, კობაიძე-თანდაშვილი — 0,5:0,5, მერეკლიშვილი-მესხი — 0,5:0,5, ქასოშვილი-ჯანჯღავა — 0,5:0,5. გადაიდო ალიხანაშვილ-ხურციძის პარტია; **IX ტური:** ლაგვილავა-ქასოშვილი — 0:1, ფახიროვა-ჩაიკოვსკაია — 1:0, ხურციძე-ეძგვერაძე — 1:0, მესხი-ალიხანაშვილი —0:1, თანდაშვილი-მელაშვილი — 0:1, კურცხალია-მერეკლიშვილი — 0,5:0.5, გადაიდო ჯანჯღავა-კობაიძის და თვაური-ტერელაძის პარტიები, ხოლო სადუნიშვილ-ხუგაშვილის შეხვედრა არ გამართულა.

9 ტურის შემდეგ 8 ქულით შეჯიბრებას ერთპიროვნულად ლიდერობს ეკატერინე ფახიროვა. შემდეგ მოდიან: ციალა ქასოშვილი, ნათია ჯანჯღავა — 6-6 (1-1), ნინო ხურციძე — 5 (2), ლია ჰადუნიშვილი — 5 (1), ჰენრიეტა ლაგვილავა — 5.

**ვასილ ვაშაკიძე.**

# რტი აგროვებს ქულებს

**გაიმართა** უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები.

**მინსკი.** უძლიერეს რვა გუნდში მოხვედრისთვის თბილისის „დინამოსთან" ერთად იბრძვიან მინსკის რადიოტექნიკის ინსტიტუტის კალათბურთელები. გასულ შაბათს და კვირას ბელორუსიის წარმომადგენლებმა ორი შეხვედრა მოუგეს მოსკოვის „დინამოს" და საგრძნობლად გაიუმჯობესეს სატურნირო მდგომარეობა. რტი-მ განსაკუთრებით კარგად ჩაატარა პირველი მატჩი, რომელიც 27 ქულით მოიგო — 106:79 (54:41). მეორე შეხვედრაში კი ბრძოლის ბედი ერთადერთმა ქულამ გადაწყვიტა. მინსკელმა კალათბურთელებმა მინიმალური სხვაობით გაიმარჯვეს — 98:97 (52:61).

**დონეცკი.** ადგილობრივი „შახტიორი" ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელს ალმა-ათის ასკ-ს მასპინძლობდა. მასპინძლებმა ორივე ორთაბრძოლის პირველი ნახევარი თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს, მაგრამ საბოლოოდ ორივეჯერ დამარცხდნენ. ასკ-მ პირველი შეხვედრა მოიგო ანგარიშით 117:99 (49:51), მეორე კი 111:100 (61:63).

**პანევეჟისი.** კიევის „სტროიტელისა" და ვილნიუსის „სტატიბას" პირველ შეხვედრაში უკრაინელ კალათბურთელთა უპირატესობა ოდნავ შესამჩნევი იყო 91:90. მეორე ბრძოლა კი ვაჟთა კალათბურთისათვის ერთობ უცნაური ანგარიშით დაამთავრა. „სტატიბამ" გაიმარჯვა — 66:58 (39:32).

**გათამაშების ცხრილი**

მდგომარეობა 14 მარტისთვის

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ასკ (ალმა-ათა) | 34 | 23 | 11 | 57 |
| „დინამო" (მ.) | 36 | 21 | 15 | 57 |
| „ჟალგ." (კაუნ.) | 26 | 24 | 2 | 50 |
| „სტროიტ." (კ.) | 28 | 22 | 6 | 50 |
| ცსკა | 29 | 20 | 9 | 49 |
| „სტატ." (ვილნ.) | 32 | 16 | 16 | 48 |
| „დინამო" (თბ.) | 34 | 13 | 21 | 47 |
| „კალევი" (ტალ.) | 30 | 15 | 15 | 45 |
| რტი (მინსკი) | 28 | 13 | 15 | 41 |
| ვეფ (რიგა) | 35 | 6 | 29 | 41 |
| „სპარტ." (ლენ.) | 32 | 7 | 25 | 39 |
| „შახტ." (დონ.) | 30 | 7 | 23 | 37 |

## საერთაშორისო ფეხბურთი: შედეგები, ცხრილები

გაიმართა ევროპის ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატების მორიგი მატჩები.

### ჩეხოსლოვაკია

**მე-16 ტური.** „ტრნავა" — „ბანსკა ბისტრიცა" 1:1, „ჰრადეც კრალოვი" — „ნიტრა" 2:0, „სლოვანი" — „რუდა ჰვეზდა" 0:3, „პლზენი" — „ინტერი" 4:1, „დუნაისკა სტრედა" — „სლავია" 1:0, „დუკლა" — „ვიტკოვიცე" 4:1, „ბანიკი" — „სპარტა" 1:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „სპარტა" | 16 | 45-12 | 26 |
| „ბანიკი" | 16 | 25-13 | 23 |
| „ნიტრა" | 16 | 24-19 | 19 |

### იუგოსლავია

**მე-18 ტური.** „ტუზლა" — „პარტიზანი" 1:0, „ვოივოდინა" — „სარაევო" 1:2, „ზენიცა" — „ჰაიდუკი" 1:0, „ნიში" — „დინამო" (ზაგრები) 1:1 (3:2), „სუბოტიცა" — „კრუშევაცი" 1:0; „რიეკა" — „ოსიეკი" 2:0, „ველეჟი" — „ბუდუჩნოსტი" 2:1, „ჟელეზნიჩარი" — „ვარდარი" 3:1, „ცრვენა ზვეზდა" — „რადი" 1:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ვოივოდინა" | 18 | 24-18 | 22 |
| „დინამო" (ზაგრ.) | 18 | 28-15 | 21 |
| „ჰაიდუკი" | 18 | 23-12 | 21 |

### ესპანეთი

**23-ე ტური.** „რეალი" — „ბეტისი" 5:1, „კადისი" — „სარაგოსა" 1:0 (გამოტოვებული), „ოვიედო" — „ატლეტიკო" 5:2, „სევილია" — „კადისი" 1:1, „ბილბაო" — „მალაგა" 3:1, „ლოგრონიესი" — „ესპანიოლი" 0:0, „სელტა ვიგო" — „ელჩე" 3:0, „მურსია" — „ვალენსია" 0:1, „სარაგოსა" — „სან სებასტიანი" 0:0, „ვალიადოლიდი" — „ხიხონი" 0:1, „ბარსელონა" — „ოსასუნა" 1:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „რეალი" | 22 | 57-23 | 37 |
| „ბარსელონა" | 23 | 48-19 | 34 |
| „სელტა ვიგო" | 22 | 24-23 | 27 |

### თურქეთი

**24-ე ტური.** „ალტაი" — „რიზესპორი" 3:1, „ესკიშეპირსპორი" — „საკარიასპორი" 2:2, „კაჰრამანი" — „სარისპორი" 0:1, „ბეშიქთაში" — „მალატიასპორი" 4:0, „სამსუნსპორი" — „კონიასპორი" 0:3, „ანკარაგიუჯუ" — „ბოლუსპორი" 1:0, „დემირსპორი" — „ბურსასპორი" 2:0, „ტრაბზონსპორი" — „ადანასპორი" 2:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბეშიქთაში" | 23 | 57-9 | 59 |
| „ფენერბახჩე" | 23 | 63-15 | 58 |
| „სარისპორი" | 23 | 41-27 | 45 |

### პორტუგალია

**28-ე ტური.** „სპორტინგი" — „ამადორა" 0:1, „ბოავიშტა" — „სეტუბალი" 2:0, „პენაფიელი" — „მადეირა" 2:0, „ესპინიო" — „შავიში" 2:1, „გიმარაეში" — „ბრაგა" 2:0, „პორტიმონენსე" — „ბეირა მარი" 1:0, „ვისეუ" — „ლეიქსოეში" 1:0, „მარიტიმო" — „პორტო" 0:0, „ფარენსე" — „ბენფიკა" 0:2, „ბელენენსეში" — „ფაფე" 1:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბენფიკა" | 28 | 42-10 | 46 |
| „პორტო" | 28 | 37-13 | 40 |
| „ბოავიშტა" | 28 | 40-20 | 35 |

### უნგრეთი

**მე-16 ტური.** „პეში" — „სომბათჰეი" 0:0 (5:3), „რაბა ეტო" — „დოჟა უიპეშტი" 0:3, „ფერენცვაროში" — „სიოფოკი" 1:1 (4:5), „ვაშაში" — „ვესპრემი" 0:1, „ტატაბანია" — „დუნაივაროში" 5:1, „შეკეშფეჰერვარი" — „ვაკი" 1:0, „ზალაეგერსზეგი" — მტკ 4:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| მტკ | 16 | 28-20 | 36 |
| „ფერენცვაროში" | 16 | 28-21 | 33 |
| „შეკეშფეჰერვარი" | 16 | 35-17 | 31 |

### შოტლანდია

**27-ე ტური.** „აბერდინი" — „ჰართსი" 3:0, „დანდი" — „სელტიკი" 0:3, „რეინჯერსი" — „სენტ მირენი" 3:1, „ჰიბერნიანი" — „ჰართსი" 1:0 (გამოტოვებული).

| | | | |
|---|---|---|---|
| „რეინჯერსი" | 27 | 45-21 | 40 |
| „დანდი იუნაიტედი" | 26 | 36-13 | 36 |
| „აბერდინი" | 27 | 37-22 | 36 |

### ინგლისი

**26-ე ტური.** „არსენალი" — „ლუტონი" 2:0, „ასტონ ვილა" — „ჩარლტონი" 1:2, „დერბი" — „ევერტონი" 3:2, „მიდლსბრო" — „ნიუკასლი" 1:1, „მილუოლი" — „ქოვენთრი" 1:0, „ნორვიჩი" — „მანჩესტერი" 2:1, „საუთჰემპტონი" — „ტოტენჰემი" 0:2, „ვესტ ჰემი" — „ქუინს პარკი" 0:0, „უიმბლდონი" — „შეფილდი" 1:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „არსენალი" | 26 | 52-25 | 54 |
| „ნორვიჩი" | 26 | 39-28 | 50 |
| „მილუოლი" | 25 | 38-30 | 42 |

### საბერძნეთი

**მე-20 ტური.** „პანათინაიკოსი" — „ირაკლისი" 0:0, „კალამარია" — „ოლიმპიაკოსი" 1:2, „პანიონისი" — „პაოკი" 0:0, „ლარისა" — „ეთნიკოსი" 1:1, „აეკი" — „ლევადიაკოსი" 5:1, „დიაგორასი" — „დოქსა" 0:2, „ოფი კრეტა" — „ვოლოსი" 2:1, „არისი" — „აპოლონი" 3:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ოლიმპიაკოსი" | 20 | 36-15 | 28 |
| „აეკი" | 20 | 29-11 | 28 |
| „პაოკი" | 20 | 27-19 | 25 |

### გფრ

**მე-19 ტური.** „მიონხენგლაბდახი" — „ლევერკუზენი" 2:0, „დორტმუნდი" — „ჰამბურგი" 2:2, „ჰანოვერი" — „შტუტგარტი" 2:0, „ბაიერნი" — „კარლსრუე" 3:2, „კაიზერსი" — „აინტრახტი" 0:1, „სენტ პაული" — „ბოხუმი" 1:0, „კიოლნი" — „ნიურნბერგი" 1:1, „მანჰეიმი" — „იურდინგენი" 3:3, „ვერდერი" — „კაიზერსლაუტერნი" 1:0, „მიონხენგლადბახი" — „კარლსრუე" 2:2 (გამოტოვებული).

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბაიერნი" | 19 | 38-15 | 29 |
| „ვერდერი" | 19 | 32-20 | 25 |
| „კიოლნი" | 19 | 31-14 | 24 |

### ბულგარეთი

**მე-16 ტური.** „ბოტევი" — „სრედეცი" 0:2, „ლოკომოტივი" (სოფია) — „ვარნა" 4:0, „ლოკომოტივი" (პლოვდივი) — „სლივენი" 1:0, „ტირნოვო" — „ბლაგოევგრადი" 0:1, „პერნიკი" — „თრაკია" 1:1, „რუსე" — „ორეხოვიცა" 1:0, „ვარნა" — „სლავია" 2:2, „ვიტოშა" — „სტარა ზაგორა" 3:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „სრედეცი" | 16 | 57-14 | 28 |
| „თრაკია" | 16 | 32-20 | 20 |
| „ტირნოვო" | 16 | 32-21 | 20 |

(საქ. ინფ.)

## „სპორტლოტო"

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტლოტოს" მორიგი, მეათე ტირაჟების შედეგები, რომლებიც 1989 წლის 5 მარტს გაიმართა.

**„სპორტლოტო 6 45"-იდან:** დაშვებულია 2076450 ვარიანტი.

ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (16) მოგება 4862 მანეთია, ოთხისთვის (1127) — 82, სამისთვის (35315) —4.

**„სპორტლოტო 5 36"-დან:** დაშვებულია 21660260 ვარიანტი.

ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (62 ვარიანტი) მოგება 10000 მანეთია, ოთხისთვის (9463) — 131, სამისთვის (276870)— 5.

**გუშინწინ** მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს" მორიგი, მეთერთმეტე ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45"-დან:** 2 (ბიატლონი), 20 (აფროსნობა), 33 (ფეხბურთი), 36 (მხატვრული ტანვარჯიში), 41 (მაგიდის ჩოგბურთი), 44 (ჭადრაკი).

**„სპორტლოტო 5 36"-დან:** 3 (ბობსლეი), 10 (წყალბურთი), 26 (თანამედროვე ხუთჭიდი), 30 (ძალოსნობა), 31 (ფარიკაობა).

## გამოთხოვება დ. მ. იოსელიანთან

**12 მარტს** ჩვენმა საზოგადოებრიობამ უკანასკნელ გზაზე გააცილა საბჭოთა ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო ორგანიზატორი, ომისა და შრომის ვეტერანი, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის პროფესორი დიმიტრი მელიტონის ძე იოსელიანი.

საზოგადო მოღვაწეთა საბურთალოს პანთეონში სამგლოვიარო მიტინგი სიტყვით გახსნა დ. მ. იოსელიანის დამკრძალავი კომისიის თავმჯდომარემ, საქართველოს სპორტსახკომის თავმჯდომარემ ნ. ენდელაძემ. ცალკეული ორგანიზაციების, მეგობრების, თანამებრძოლებისა და მოწაფეთა სახელით განსვენებულს გამოეთხოვნენ: სპორტის დამსახურებული ოსტატი ე. გოკიელი, ფიზკულტურის ინსტიტუტის პროფესორი ა. ციბაძე, პარტიზანული მოძრაობის ვეტერანი ვ. ძნელაძე, სპორტის ვეტერანთა საკავშირო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გ. ელისეევი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი მძლეოსნობაში გელა ვეშაპიძე.

# ნიუიორკელთა აღმავლობა

**კალათბურთის** ეროვნული ასოციაციის წლევანდელ ჩემპიონატში წარმატებით თამაშობს „ნიუ-იორკ ნიკერ ბოკერსი", ანუ როგორც შემოკლებით უწოდებენ „ნიუ-იორკ ნიქსი". როგორც ვიუწყებოდით, ეს გუნდი საკმაოდ დამაჯერებლად ლიდერობს ატლანტიკის ოკეანის დივიზიონში და რვა ქულით უსწრებს სახელგანთქმულ „ბოსტონ სელტიქსს", რაც ბოლო წლებში ამ გუნდის ისტორიაში ძალზე იშვიათი შემთხვევაა.

„ნიუ-იორკ კნიქსის" ოქროს ხანაა 70-იანი წლების დასაწყისი. მაშინ გუნდი რუდ ჰოლცმანის ხელმძღვანელობით ორჯერ (1970, 1973 წელს) გახდა კალათბურთის ეროვნული ასოციაციის ჩემპიონი, ანუ როგორც ამერიკელებს უყვართ თქმა, „მსოფლიოს ჩემპიონი". ამ წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანეს პროფესიული კალათბურთის აღიარებულმა ვარსკვლავებმა: უოლტ ფრეზერმა და უილის რიდმა. ისინი არაერთხელ ყოფილან ყველაზე უფრო პრესტიჟული ოლსტარზის შემადგენლობაში. მათთან ერთად უნდა დავასახელოთ ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, ამჟამად სენატორი ბილ ბრედლი და დევიდ დებუშერი. მას შემდეგ, რაც ვარსკვლავებმა თანდათან დატოვეს დიდი სპორტი, ნიუ-იორკელებს ძნელი პერიოდი დაუწყოთ. წარუმატებლობები სულ უფრო გახშირდა. კრიზისის დაძლევის მიზნით გუნდმა 1984 წელს შეიძინა ლოს-ანჯელესის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, სტუდენტურ კალათბურთის ვარსკვლავი ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის მოთამაშე პატრიკ იუვინგი (211), რაც უნაყოფო გამოდგა. ესპანური ჟურნალი „სუპერბასკეტი" ამის ერთ-ერთ მიზეზს მწვრთნელის შეცდომაში ხედავს, რომელიც იუვინგს სწორად არ იყენებდა — გარემარბად ათამაშებდა. მწვრთნელის შეცვლის შემდეგ სიტუაცია მკვეთრად გამოსწორდა. რიკ პიტინომ იუვინგი დააბრუნა ცენტრალური თავდამსხმელის ადგილას, სადაც ის ყველაზე სასარგებლო და საჭირო იყო. ნიუიორკელთა წლევანდელი აღზევების ერთ-ერთ მიზეზად მიმომხილველები სწორედ იუვინგის სასარგებლო თამაშს ასახელებენ. საერთოდ კი, მათი აზრით, ახალმა მწვრთნელმა, როგორც ჩანს, შეძლო საერთო ენის გამონახვა მოთამაშეებთან და ძლიერი მონოლითური კოლექტივის შექმნა, სადაც ყველა მთავარი მიზნისკენ ისწრაფვის.

**მერაბ კალანდაძე.**

# 60 ქულაც და...

**ცნობილი** კანადელი ჰოკეისტის უეინ გრეცკის 1985-86 წლების სეზონში დამყარებულ სნაიპერულ რეკორდს (215 ქულა) მოხსნა ემუქრება.

პიტსბურგ „პინგვინზის" ლიდერი მარიო ლემიო ახლოს არის მიზანთან. მან მიმდინარე ჩემპიონატში ჯერჯერობით 155 ქულა (62 გოლი, 93 გადაცემა) მოაგროვა. დარჩენილ 18 მატჩში ლემიოს 61 ქულის მოგროვებაღა სჭირდება, რითაც გადააჭარბებს გრეცკის ფანტასტიურ შედეგს.

ბომბარდირთა შეჯიბრებაში მეორე ადგილზე თვით გრეცკია („ლოს-ანჯელესი") 135 (46-89), მესამეზე — აიზერმანი („დეტროიტი") — 123 (55-68), მეოთხეზე — ნიკოლსი („ლოს-ანჯელესი") — 122 (57-65), ხოლო მეხუთეზე ბრაუნი (პიტსბურგი) — 98. (42-56).

(საქ. ინფ.)

რედაქტორი
**თ. ბაჩეჩილაძე.**

**ვაჟთა კალათბურთის სასახლე (კიროვის პარკი)**
**16-17 მარტი**
**კალათბურთი**
სსრ კავშირის ჩემპიონატი
„დინამო" (თბილისი)
რტი (მინსკი)
დასაწყისი 20 საათზე

ჩვენი მისამართი: წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",

რედაქციის ტელეფონები: წერილების განყოფილება — 93-97-55, სამდივნო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53, „მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 07138